№ 16 | Индекс № 30 | Цена | მთავრობის | ყოველდღიური გაზეთი | წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. | პარასკევი, 23 იანვარი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რეს.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პატიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

ბგირას, 1920 წ. 25 იანვარს, დღის 12 საათზე, ცფ. სასოფლო სამეურნეო ბანკის ბინაზე (დამფ. კრ. ქუჩა № 5) დანიშნულია

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა

განსახილველია საკითხები: 1. საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის წარმომადგენელის მოხსენება არტელის საქმეების შესახებ. 2 საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკის ორგანიზაცია. 3. სხვა ეროვნული საკითხები. ყრილობის წევრნი და ზემოაღნიშნულ საკითხებით დაინტერესებულნი პროვინციელი საკრედიტო დაწესებულებანი საკუთარ ხარჯზე გამოგზავნიან ხსენებულ ყრილობაზე ამ განცხადების მოხედვით თითო წარმომადგენელს სათანადო რწმუნებულებით. 106 3—1

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

პარასკევს, იანვრის 23 ს გლაზის ბენეფისი

მინიონი

მონაწილეობენ: გლაზი, ზელინსკაია, ერმოლინსკაია, პოლიანოვი, საბინინი. შაბათს, იანვრის 24 ს ოპერა მოშებისთვის „ფრა დიავოლო“. კვირას, იანვრის 25 ს, დილით ვიშემირსკაიას ბენეფისი „გენზელი და გრეშელი“. საღამოს „აიდა“. ორშაბათს, სტუდენტის დღეს „ქეთო და კოტე“. სამშაბათს, იანვრის 27 ს „სოფლის პატივი და ჯამბაზები“. ოთხშაბათს, იანვრის 28 ს ზელინსკაიას ბენეფისი „ლაკმე“. 108

ქუთაისის საცდელი მინდოლრის

გამგე ამით აცხადებს, რომ ამა წლის იანვრის 30 ს, პარასკევს, დილის 10 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ხარის და ცხენის ნაკელი. ქუთაისის მაზრის, სოფელ კულაშში, საცდელ მინდვრის ეზოში საჯარო ვაჭრობა დაიწყება 5.000 მანეთიდან (ხუთი ათას მანეთიდან). ნაკელის ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 4 საათამდე. კულაში დაცილებულია სადგურ სამტრედიაზე 4 ვერსით.

3—2 96 ქუთაისის საცდელი მინდვრის გამგე გ. ჯაფარიძე

მომარაგების სამინისტრო

ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ თანახმათ 15 იანვრის 1920 წ. მთავრობის დადგენილებისა, ყველა წინასწარი ნებართვანი საქონლის გატანისა, გაცემულნი საქონლის გამცვლელ სხვა და სხვა დაწესებულებებიდან იმ პირობით, რომ სათანადო თანხაზედ უნდა ყოფილიყო შემოტანილი საქონელი, უნდა იქნას წარმოდგენილი სამინისტროში 30 ამა იანვრამდის.

ნებართვანი, რომელნიც არ იქნებიან წარმოდგენილნი დანიშნულ დრომდის, კარგავენ ძალას.

3—2 91 მომარაგების მინისტრი ერაძე.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის
ავტო-ტექნიკურ განყოფილების მიერ
1920 წ. 1 თებერვალს დღის 11 საათზე

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

შან, 2)ი ავტომობილების გასაყიდათ: 1) ლაურინ კლემენტ 8 ძალ., შეფასებულია—10.000 მან., 4) ოპელ 6 ძალ., შეფასებულია—20 000 მ., 3) სტევერ 6 ძალ., შეფასებულია 30 000 6) ნ. ა. ბენზ 8 ძალ., შეფასებულია 12.000 მან., 5) ბენც 20 ძალ., შეფასებულია 50 000 მ., ფორდ გ. 18 ძ., შეფასებულია 20 000 მ, 7) ნ. ა. გ. 6 ძ., შეფასებულია 12 000 მ., 8) შევროლეტ 22 ძალ., შეფასებულია 5.000 მან., 9) რუსულ ბალტიური 16 ძ., შეფასებულია 20 ათას მან. და 10) ბენზ 16 ძალ., შეფასებულია 30 000 მან. მისამართი: ელისაბედის ქუჩა, № 119. 8 6—2

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

მთავრობის საქმეთა მართველობის შტატისა და 1919—1920 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისა.

1. ნაცვლად 1918 წლის ივლისიის 9 ს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მართველობის შტატისა და ხარჯთაღრიცხვის კანონისა (კან. კრ. 1918 წლ., კან. № 14) დამტკიცებულ იქნეს ამა 1919 წლის ნოემბრის 1-დან ამ დეკრეტთან დართული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მართველობის ახალი შტატი და ხარჯაღრიცხვა.

2. პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ამა 1919 წლის ნოემბრის 1 დან 1920 წლ. ივნისის 1-დე ოთხას ოცდათვრამეტ ათას ხუთასი (438500) მან.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 30 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

დადგენილება.

20 იანვარი, 1920 წ., № 4.

ამა წლის 17 იანვრიდან მოიხსნას სამხედრო წესები საქართველოს რკინის გზებზე და გაუქმდეს ამ გზების საგენერალ-გუბერნატორო.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

შტატი.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მართველობისა და მისი 1919—20 წლ. ხარჯთაღრიცხვა.

თანამდებობანი	რ ა ო ბ ა	თვიურად ერთეულზე	თვიურად ყველას.	წლიურად ერთეულზე	წლიურად ყველას.	ა/წ. ნოემბ. 1 დან ს ბიუჯეტი წ. ბოლოამდე
მთავრობის საქმეთა მმართველი	1	6000	6000	72000	72000	42000
მთავრობის თავმჯდომარის პირადი მდივანი	1	5000	5000	60000	60000	35000
პირველი მდივანი (იგივე მთავრობის საქმეთა მმართველის თანაშემწე)	1	4000	4000	48000	48000	28000
მეორე მდივანი	1	3500	3500	42000	42000	24500
საქმის მწარმოებელი	2	2000	4000	24000	48000	28000
საქმის მწარმოებლის თანაშემწე	2	1500	3000	18000	36000	21000
მუხჰალტერი	1	2500	2500	30000	30000	17500
საგანგებო მინდობილებათა მოხელე	1	4000	4000	48000	48000	28000
ადიუტანტი	1	2200	2200	26000	26400	15400
იურისკონსულტი	1	3000	3000	36000	36000	21000
ხაზინადარი-ეკზეკუტორი	1	1700	1700	20400	20400	11900
რეგისტრატორი	4	1300	5200	15600	62400	36400
მანქანით გადამწერი	5	1300	6500	1560	78000	45500
არქივარიუსი	1	1600	1600	19200	19200	11200
მორიგი მოხელე	1	1300	1300	15600	15600	9100
	23	40000	53500	490500	642000	374500

დამატებანი: 1) მოხელეთათვის დახმარების აღმოსაჩენად უბედურ შემთხვევისა და ავადმყოფობის გამო 20000
2) საკანცელარიო, ფოსტა-ტელეგრაფისა და სხვა ამგვარი ხარჯი 34000
3) წიგნების 10000

მთელი ჯამი ხარჯთაღრიცხვისა 438500

1919 წ. დეკემბრის 30 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

10 იანვრის სხდომა.

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, მინისტრები—ბ-ნნი რამიშვილი, კანდელაკი, ხომერიკი, გეგეჭკორი, არსენიძე, ერაძე, ლორთქიფანიძე, სახელმწიფო კონტროლიორი—ბ-ნი გოგიჩაიშვილ; მინისტრთა ამხანაგები—ბ-ნნი ჭიჭინაძე, გედევანიშვილი, ბახტაძე, ცინცაძე, ჭავჭანიძე, ქარცივაძე; გზათა დეპარტამენტის დირექტორი—ბ. ჭიჭინაძე; საქმეთა მმართველი—კ. ჯაფარიძე; მდივანი—დ. დიდებულიძე.

შუამდგომლობის უარყოფა.

უარყოფილ იქმნას ნიკოლოზ მატინიანცის შუამდგომლობა სასამართლო ხარჯების გადახდევინების შეჩერების შესახებ, ვინაიდან არ არსებობს კანონიერი საფუძველი ხსენებულ ხარჯების პატიებისთვის.

საერობო გზების შესაკეთებლათ.

ლეჩხუმის სამაზრო ერობისათვის გზების შესაკეთებლათ და სკოლების მოსაწესრიგებ-

ლათ ზოგიერთ საგნების დათმობის შესახებ სახელმწიფო საწყობიდან—ბეების გაკეთების საკითხის განსახილველათ გამართულ იქმნას საუწყებათაშორისო თათბირი, შემდგარი ინაგან საქმეთა, მიწათ მოქმედებისა, სამხედრო და გზათა უწყებათა წარმომადგენელთაგან. აღნიშნული თათბირი გამოიმუშავებს ერთგვარ წესს, რომლის მიხედვითაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიეცემა ერთ ებს გზებია გასაკეთებლათ შესაფერი ხელსაწყო საშუალებანი.

სატყეო უწყების მოსამსახურეთა ნიშნები.

დამტკიცებულ იქნას ნიშნები ტყის დარაჯთა და სატყეო უწყების მოსამსახურეთათვის (ქუდზე და მკერდზე).

დანიშვნა.

ალექსანდრე პეტრეს ძე ოპოჩინინი დანიშნოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოს წევრათ ამა წლის 10 იანვრიდან.

შრომის სამინისტროში

შრომის დაცვის კანონის დარღვევისთვის.

ზარგაზრიანცის ტყავეულობის ქარხნის პატრონს შრომის კომისარმა შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა:

„ვინაიდან ტყავზე მომუშავეთა პროფეს. კავშირისაგან განცხადება შემოვიდა, რომ თქვენ შრომის დაცვის კანონები დაგარღვევათ და მუშებისათვის სატარიფო პალატის მიერ შემუშავებულ ტარიფის მიხედვით არ მიგიციათ ხელფასი, წინადადებას გაძლევთ სასტიკათ დაიცვათ არსებული კანონები და შემოღებული წესები და მუშებს გაუსწორდეთ არსებული ტარიფით, წინაალმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები კანონიერ პასუხისგებაში მიგცეთ“.

ტფილისის საერთო საავადმყოფო კასაზე მიწერა.

1 იანვრიდან ტფილისის საერთო საავათმყოფო კასას კიდევ მიეწერა შემდეგი წარმოებათა მუშა მოსამსახურენი:

ელექტრონის სადგურები—„ძალა“, ფეფერის, პირველი მდთოვის და მე-2 მადათოვის, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების, ყორლანოვის, კირაკოზოვის, „კულონი“, დიდუბის, „მატორი“, არტისტიულ საზოგადოების „ამპერი“ ადელხანოვის და ადამოვის; აბანოები—ორბელიანის, ნარსიასი, წოვიანოვის, „ფანტაზია“, „ერეკლეს“, ბებუთოვის, არლუთინსკის და აბრამიშვილის; 15 იანვრიდან: მალჯანის, პეტროსოვის; კოროლმიანის, ოუმანიანის, საზაბა „მ ღ“ ს საქსოვი სახელოსნოების და ხითაროვის მატყლის საწყობის მუშა-მოსამსახურენი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში.

უკანონო გადასახადის გაუქმება.

ქალ. ყულევის (რედუტ კალე) თვითმართველობას ანაკლიის რაიონიდან და ზუგდიდ საშურხეანოს მაზრებიდან ტრანზიტათ გასიდულ სანოვაგეზე შემოღებული გადასახადი ფუთზე მ ნეთი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ყულევის გამგეობას გააუქმოს აღნიშნული გადასახადი, როგორც უკანონო.

მიწაზე ერთდროულ გადასახადის 40 პროც. ერობათა სასარგებლოთ გადადების შესახებ.

ვაჭრობა მრეწველობის და ფინანსთა სამინისტრომ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა უკანასკნელმა აცნობოს თავისი დასკვნა საერობო თვითმმართველობათა შუამდგომლობების შესახებ, რომლებიც თხოულობენ, რომ მიწაზე ერთდროული გადასახადის 40% ეხლავე იქმნეს ჯადარიცხული ერობების სასარგებლოთ. რადგან ერობებს 40% ის ანგარიშის მიხედვით სამთავრობისაგან შესაფერისი დახმარება წინასწარ აქვთ მიღებული, ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილათ მიჩნია, რომ 40% ის გადარიცხვა ერობათა სასარგებლოთ მოხდეს ამა უადრეს იმ ხანისა, როდესაც გამოჩ დება, თუ მიღებულ დახმარების გამოიცხვის ბ ედან ერობებს ზემოაღნიშნულ თანხიდან რა დარჩება მისაღებათ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამართლიანათ სცნო ზემოაღნიშნული მოსაზრებანი და განმარტა, რომ მიწაზე ერთდროული გადასახადიდან 40% ერობათა სასარგებლოთ გადაირიცხოს იმის შემდეგ, რაც დაიფარება მათ მიერ წაღებული 10 მილიონიან ფონდიდან სესხი 2 აგვისტოს 1919 წლ. დეკრეტით.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კონფერენცია.

შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგი მისალმება მოუვიდა:

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის საარაონო გამგეობათა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელიც გაიხსნა 16 იანვარს, მოგესალმებათ თქვენ, ბ ნო მინისტრო და ღრმათ დარწმუნებულია, რომ საქართველოს მუშათა კლასის ინტერესები, რომლებმაც თავიანთი ბედ-ილბალი მთელ დემოკრატიასთან ერთად ჩაგაბარათ, დაცული იქნება. გისურვებთ თქვენ, რომ თქვენი წინამძღოლობით მიგვეღწიოს ჩვენი ნიზნების განხორციელებამდე და მუშათა კლასის ერთი დარგის—ფოსტა ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა სახელით სიტყვას სდებს თქვენს წინაშე, რომ ყოველი ნაბიჯი, თქვენ მიერ გადადგმული გამოიწვევს ჩვენში მხურვალე გამოძახილს და მთელი ჩვენი ენერგიით დავიცავთ მას.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს.

გაუმარჯოს მუშათა კლასის საკეთილდღეოთ მშრომელ და მებრძოლ მინისტრს.

თავმჯდომარე მეხი.

გრ. ჩალხუშიანის გაძევება

შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით წინადადება მიეცა გრ. ჩალხუშიანს 24 საათის განმავლობაში დასტოვოს რესპუბლიკის საზღვრები.

საქართველოს და ადერბეიჯანის წარმომადგენლები უკანასკნელ საგჯოში.

უმაღლესმა საბჭომ მოუსმინა საქართველოს დელეგატებს ჩხეიძეს, წერეთელს და ავალიშვილს და ადერბეიჯანის—მარდან-ბეკ ტობჩიბაშევს. კავკასიის ორ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა დაწვრილებით გააცნეს საბჭოს ორივე სახელმწიფოს მოთხოვნილებანი და სურვ ლები. მათ განაცხადეს, რომ მთელები სახელოვ ნი ხალხია, რომელმაც თავის დროზე შეადგინა რუსეთის ჯარში საუკეთესო სამხედრო ნაწილი.

საფრანგეთისა და იტალიის მისიებს უფროსთა მიღოცვეები

საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსისა და იტალიის სამხედრო მისიის უფროსისაგან მიიღო შემდეგი ცნობანი:

ბატონო მინისტრო! პატივი მაქვს ამასთანავე გადმოგცეთ თქვენ იმ დეპეშას პირი, რომელიც დღეს დილით ჩემი მთავრობისაგან მივიღე. ამის გამო გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითხურვალე მოლოცვა. მიიღეთ, ბ. მინისტრო ჩემი ღრმა პატივისცემა.

ე. დე-ნიანანკური.

საფრანგეთიდან მიღებული დეპეშები.

იანვრის 18, 1920 წ. მოკავშირე სახელმწიფოთა გარეშე საქმეთა მინისტრთა საბჭომ ათ იანვარს „დაადგინა იცნონ მთავრობათ „de fakto“ საქართველოს და ადერბეიჯანის.

თქვენო ალმატებულებავ! ეს არის ეხლა მივიღე იტალიის მთავრობისაგან რადიოდეპეშა, რომლითაც მატყობინებენ, რომ მიმდინარე თვის 11 უმაღლეს საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილი იყო, რომ მოკავშირე სახელმწიფოები საქართველოსა და ადერბეიჯანის მთავრობათა კოლექტიურ გამოსვლას სცნობენ „de facto“ მთავრობის გამოსვლათ. მე ბედნიერი ვარ გადმოგცეთ უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილება სისწორით და ბედნიერი ვარ მით, რომ შეძლება მეძლევა განვაახლო თქვენს წინაშე ჩემი გულწრფელი მოლოცვანი და საუკეთესო სურვილები საქართველოს რეპუბლიკის მომავალისათვის. მიიღეთ თქვენო ალმატებულებავ ჩემი ღრმა პატივისცემა.

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი—მისიის უფროსი გაბბა.

თათბირი

აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრებისა

ამ დღეებში ტფილისში ხდება თათბირი აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრების—ფ. ხან ხოისკის, ა. ი. ხატისოვისა და ე. პ. გეგეჭკორის. მინისტრებმა გამოიმუშავეს შემდეგი დებულებანი, რომლის გატარებას ყოველი მათგანი ეცდება თავის მთავრობაში:

1. კიდევ ვადასტურებთ, რომ ყოველგვარი დავა რესპუბლიკათა შორის, უნდა სწყდებოდეს არა იარაღით, არამედ შეთანხმებისა და არბიტრაჟის გზით და რომ სამივე მთავრობამ ენერგიული ზომები უნდა იხმაროს ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში განსახორციელებლათ.

2. კავკასიის სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იდეა მოითხოვს კიდევ განვაცხადოთ, რომ სამივე რესპუბლიკა თავის და მოუკიდებლობას დაიცავს ყოველგვარ თავდაცემისაგან და თავის სუვერენულ. უფლებათა დასაცავ ბრძოლაში ისინი ერთი მეორეს ყოველგვარათ დაეხმარებიან.

3. გამორკვეულია, რომ კავკასიის სამივე რესპუბლიკის საცხოვრებო ინტერესები უკარნახებს მათ უფრო მჭიდრო კავშირს მათ შორის შესაძლებელ გაუუგებრობათა თავიდან ასაცილებლად და საერთო ზომების შესათანხმებლათ. ამის გამო სამ სამინისტროს თათბირს აუცილებლათ მიაჩნია სამივე მთავრობის დელეგაციის მუდმივი და რეგულიარული სესიების მოწყობა წინასწარ დანიშნულ დროს სამ რესპუბლიკის სატახტო ქალაქებში მორიგეობით.

დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ფრანგული პრესა.

გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ მილიერანის მიერ სათანადო პირებისაგან მომზადებულ კაბინეტის შედგენას. საქმის მცოდნენი ამბობენ: მილიერანი, როგორც შრომის მოყვარე და გამჭრიახი პატრიოტი ეროვნულ ამაღლების პოლიტიკას სოციალურ მშვიდობიანობაში გაატარებსო. კვირას მილიერანი აპირებს სტრასბურგში წასვლას, სადაც იგი გამოემშვიდობება ელზას-ლორენლებს, რომ ლებთანაც იგი უმაღლეს კომისრათ იყო.

უმაღლეს საბჭომ სხდომაზე, სამშაბათ დილით, კლემანსოს თავმჯდომარეობით და მილიერანის თანადასწრებით საბოლოოდ განიხილეს დაწნაშავეთა სია, რომელიც ედუარდ ინიასის კომისიამ წარმოადგინა. საკითხი იყო იმ გადაწყვეტილებათა მიღების შესახებ, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ ლონდონში, იყო ჩამოყალიბებული. სიაში არავითარი შემოკლება არ მოუხდენიათ. საფრანგეთისა და ბელგიის მიერ წარმოდგენილი სია სავსებით მიიღეს. მოკლე დროში უმაღლესი საბჭო ამ სიას გერმანიას გადასცემს. კლემანსო, ლოიდ ჯორჯი და ნიტი სხვათა შორის მსჯელობდენ მიმდინარე მომენტის საკითხზე, მათ შორის რუსეთის საკითხზედაც. საღამოს უმაღლესი საბჭო კვალად შეიკრიბა კლემანსოს თავმჯდომარეობით, რათა საბოლოოდ გამოერკვიათ ადრიატიკის საკითხი. უმაღლესი საბჭო შეუერთდა ნიტის თვალსაზრისს და ბელგრადის მთავრობას მისცა ოთხი დღის ვადა, რომ მან ყოველგვარ შენიშვნების გარეშე მიიღოს შეთანხმების პროექტი.

ტურინიდან იუწყებიან რკინის-გზელთა გაფიცვის შესახებ. ეს გაფიცვა თითქმის საერთოა იტალიის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში. გაფიცვა არ შეხებია სამხრეთ იტალიას. იტალიის კათოლიკურმა ორგანიზაციებმა უარი განაცხადეს გაფიცვაზე. ამ გარემოებამ და ჯარის დახმარებამ საშუალება მისცა მთავრობის უმთავრეს ხაზებზე რამოდენიმე მატარებელის ამოძრავებისა. მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო. დიდ ქალაქებში საალყო წესებია გამოცხადებული. აკრძალულია ავტომობილებითა და მოტოციკლეტებით სიარული. სასტიკი ბრძანებაა გაცემული საბოტაჟის მოსასპობათ. დეპუტატთა პალატამ იქონია მსჯელობა ამის შესახებ და გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს მთავრობას მის მტკიცე მოქმედებაში.

კოპენჰაგენიდა მოსული ცნობით საფრანგეთის ჯარებს, რომელნიც სამშაბათს შლეზვინგი ქ. გადერალში შეიდენ ადგილობრივი მცხოვრებნი დიდის აღფრთოვანებით შეხვდენ.

სამშაბათ საღამოს კლემანსო ლოიდ ჯორჯსა, ნიტისა და სხვა წევრებთან ერთად უკანასკნელად ღებულობდა მონაწილეობას უმაღლეს საბჭოს სხდომაში. ლოიდ ჯორჯმა, ნიტიმ, მატსუიმ და უელლმა გრძნობიერი გამოსამშვიდებელი სიტყვები უთხრეს საზავო კონფერენციის თავმჯდომარეს, რომელიც დღეიდან თავის რწმუნებულების უფლებას ჰკარგავს. ლოიდ ჯორჯმა სთქვა: მე ბედნიერათ ვსთვლი ჩემ თავს, რომ შეძლება მომეცა თქვენთან ერთად რამდენიმე თვის განმავლობაში მეთანამშრომლაო. კლემანსომ საფრანგეთის მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა მათ იმ პატივცემისათვის, რომელიც მათ გამოსთქვეს საფრანგეთისადმი.

სამშაბათს უმაღლესი საბჭო გაეცნო სამხრეთ-სლავიის მთავრობის პასუხს, რომელიც უარსყოფს იტალიის წინადადებას ადრიატიკის საკითხის მოწესრიგების შესახებ. კლემანსომ და ლოიდ ჯორჯმა პაშიჩსა და ტრიუმბიჩ აუხსნეს, რომ სამხრეთ სლავიის მთავრობამ უნდა მიიღოს იტალიის მიერ წარდგენილი შეთანხმების პირობები და საბოლოო პასუხი მისცეს მათ 24 იანვრისათვის. ნიტი პარიზიდან რომს გაემგზავრება სამშაბათ საღამოს, ლოიდ ჯორჯი ლონდონს გაემგზავრება ოთხშაბათ დილით.

ორშაბათიდან უმაღლეს საბჭოს შესცვლის მოკავშირეთა პარიზში მყოფი ელჩების კონფერენცია. საფრანგეთის წარმომადგენლად იქნება გარეშე საქმეთა სამინისტროს მთავარი მდივანი პალეოლოგი.

მოსკოვი, იანვ. 21. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

ლიონი, იანვ. 19. ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძხარედ დარჩა თითქმის მარტო პოლონეთი. ის მოუთმენლად მოელის პარიზიდან ინსტრუქციებს იმ პოლიტიკური გზის შესახებ, რომელზედაც მოკავშირენი აპირებენ ცვლას ახლო მომავ ლში. მოკავშირეთაგან ბლოკადის მოხსნამდე პოლონეთი შიშით მოელოდა საბჭოთა რუსეთის თავდასხვას, ვინაიდან ფიქრობდა, რომ რუსეთი ამ მიზნისათვის ისარგებლებდა იმ ჯარით და იარაღით, რომელიც დენიკინის გასრესის შემდეგ საბჭოთა რუსეთს დარჩა. პოლონეთის მთავარ შტაბს ძლიერ აფიქრებდა ის გარემოება, რომ დენიკინის ჯარს ჩვენ წავართვით დიდძალი იარაღი, ტყვიის მფრქვეველები, ტანკები, აეროპლანები და სხვა სამხედრო ქონება. აგრეთვე გენ. პილსუცკის კარგათ აქვს გათვალისწინებული ის საფრთხე, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს საბჭოთა რუსეთში რკალივით შეზნექილ პოლონეთის ფრონტს ბოლშევიკების თავდასხმისაგან.

გეგმა პოლონეთის მთავარი შტაბისა, რომლის მიხედვით მომავალ გაზაფხულზე პოლონეთის ჯარს უნდა დაეწყო იერიში მოსკოვისა და პეტროგრადის მიმართულებით (უკვე უარყოფილია) მას შემდეგ, რაკი მოკავშირეთა საბჭომ რუსეთს საზღვაო ალყა მოხსნა. თავის დროზე ლატვიამაც აღუთქვა პოლონეთს რუსეთთან ბრძოლაში თავის ჯარების დახმარება. აღუთქვა აგრეთვე ქ. რიგის ბაზათ დათმობა პოლონეთისათვის, უკეთუ ეს უკანასკნელი ოპერაციებს დაიწყებდა პეტროგრადის წინააღმდეგ. ახლა ლატვიამ თავისი აღთქმა უკანე წაიღო. პარიზში მყოფ პოლონეთის დელეგატებს წინადადება მიეცა გამოარკვიონ დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკა ბოლშევიკების მიმართ და სთხოვონ მოკავშირეებს, რომ საზღვაო ალყის მოხსნის დროს მხედველობაში იქონიონ და მოითხოვონ წითელი ჯარის მიერ სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტა.

იურიევი, იანვ. 20. სამშვიდობო ხელშეკრულება ესტონიასთან თითქმის დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. დარჩა რამოდენიმე სადაო კითხვა, რომელთა შესახებაც მალე შეთანხმება იქნება მიღწეული.

მოსკოვი, იანვ. 20. თავდაცვის საბჭომ მრავალი დეპეშები მიიღო შესახებ პირველი „შრომის არმიის“ მოწყობისა. შრომის არმიის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა კრებამ რეზოლიუცია მიიღო, რომელშიაც სხვათა შორის სწერია: „ჩვენ რაინდნი პატიოსანი შრომისა ფიცსა ვსდებთ, მთელი ჩვენი ძალღონე შევსწიროთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების წმინდა საქმეს“. აღმოსავლეთ ფრონტის მესამე არმიის ჯარისკაცები დიდს აღტაცებას გამოსთქვამთ იმის გამო, რომ მათ ეწოდათ საპატიო სახელი „პირველი შრომის არმია“.

მოსკოვი, იანვ. 21. საზღვაო ალყის მოხსნის შემდეგ გაზეთი „პრავდა“ თავის მოწინავეში სწერს: „იმისათვის, რომ ჩვენ მივიღოთ ევროპიდან ჩვენთვის საჭირო საგნება, საჭიროა აგრეთვე დამზადებული გვქონდეს ევროპისათვის ნაცვლად მისაცემი საქონელი. გარდა ამისა ჩვენ უნდა აღვადგინოთ ტრანსპორტი, რათა შევძლოთ გასატანი საქონლის გატანა და შემოსატანის ჩვენში მოტანა. ამ გვარად ჩვენს წინაშე ახალისა და განსაკუთრებულის დონენებით წარმოსდგა ძველი ნაცნობი კითხვები: „სახელდობრ საკითხი საქონლის დამზადებისა და ტრანსპორტისა“.

მოსკოვი, 21, იანვ. გაზეთი „ეკონომიური ცხოვრება“ სწერ: „ნახშირის მაღაროები დონეცის მხარისა ჩვენ ჩავბარეთ უკეთეს პირობებში, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მაღაროების უმეტეს ნაწილში მუშაობა სწარმოებს და თვიურად 25000000 ფუთ ნახშირს იძლევა.

მოსკოვი, იანვ. 21. საძირკველი ჩაეყარა გერცენისა და ოგარევის ძეგლს. რამოდენიმე

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კონფერენცია.

შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგი მისალმება მოუვიდა:

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის საარაონო გამგეობათა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელიც გაიხსნა 16 იანვარს, მოგესალმებათ თქვენ, ბ ნო მინისტრო და ღრმათ დარწმუნებულია, რომ საქართველოს მუშათა კლასის ინტერესები, რომლებმაც თავიანთი ბედ-ილბალი მთელ დემოკრატიასთან ერთად ჩაგაბარათ, დაცული იქნება. გისურვებთ თქვენ, რომ თქვენი წინამძღოლობით მიგვეღწიოს ჩვენი ნიზნების განხორციელებამდე და მუშათა კლასის ერთი დარგის—ფოსტა ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა სახელით სიტყვას სდებს თქვენს წინაშე, რომ ყოველი ნაბიჯი, თქვენ მიერ გადადგმული გამოიწვევს ჩვენში მხურვალე გამოძახილს და მთელი ჩვენი ენერგიით დავიცავთ მას.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს.

გაუმარჯოს მუშათა კლასის საკეთილდღეოთ მშრომელ და მებრძოლ მინისტრს.

თავმჯდომარე მეხი.

გრ. ჩალხუშიანის გაძევება

შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით წინადადება მიეცა გრ. ჩალხუშიანს 24 საათის განმავლობაში დასტოვოს რესპუბლიკის საზღვრები.

საქართველოს და ადერბეიჯანის წარმომადგენლები უკანასკნელ საგჯოში.

უმაღლესმა საბჭომ მოუსმინა საქართველოს დელეგატებს ჩხეიძეს, წერეთელს და ავალიშვილს და ადერბეიჯანის—მარდან-ბეკ ტობჩიბაშევს. კავკასიის ორ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა დაწვრილებით გააცნეს საბჭოს ორივე სახელმწიფოს მოთხოვნილებანი და სურვ ლები. მათ განაცხადეს, რომ მთელები სახელოვ ნი ხალხია, რომელმაც თავის დროზე შეადგინა რუსეთის ჯარში საუკეთესო სამხედრო ნაწილი.

საფრანგეთისა და იტალიის მისიებს უფროსთა მილოცვეები

საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსისა და იტალიის სამხედრო მისიის უფროსისაგან მიიღო შემდეგი ცნობანი:

ბატონო მინისტრო! პატივი მაქვს ამასთანავე გადმოგცეთ თქვენ იმ დეპეშას პირი, რომელიც დღეს დილით ჩემი მთავრობისაგან მივიღე. ამის გამო გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითხურვალე მოლოცვა. მიიღეთ, ბ. მინისტრო ჩემი ღრმა პატივისცემა.

ე. დე-ნიანანკური.

საფრანგეთიდან მიღებული დეპეშები.

იანვრის 18, 1920 წ. მოკავშირე სახელმწიფოთა გარეშე საქმეთა მინისტრთა საბჭომ ათ იანვარს „დაადგინა იცნონ მთავრობათ „de fakto“ საქართველოს და ადერბეიჯანის.

თქვენო ალმატებულებავ! ეს არის ეხლა მივიღე იტალიის მთავრობისაგან რადიოდეპეშა, რომლითაც მატყობინებენ, რომ მიმდინარე თვის 11 უმაღლეს საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილი იყო, რომ მოკავშირე სახელმწიფოები საქართველოსა და ადერბეიჯანის მთავრობათა კოლექტიურ გამოსვლას სცნობენ „de facto“ მთავრობის გამოსვლათ. მე ბედნიერი ვარ გადმოგცეთ უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილება სისწორით და ბედნიერი ვარ მით, რომ შეძლება მეძლევა განვაახლო თქვენს წინაშე ჩემი გულწრფელი მოლოცვანი და საუკეთესო სურვილები საქართველოს რეპუბლიკის მომავალისათვის. მიიღეთ თქვენო ალმატებულებავ ჩემი ღრმა პატივისცემა.

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი—მისიის უფროსი გაბბა.

თათბირი

აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრებისა

ამ დღეებში ტფილისში ხდება თათბირი აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრების—ფ. ხან ხოისკის, ა. ი. ხატისოვისა და ე. პ. გეგეჭკორის. მინისტრებმა გამოიმუშავეს შემდეგი დებულებანი, რომლის გატარებას ყოველი მათგანი ეცდება თავის მთავრობაში:

1. კიდევ ვადასტურებთ, რომ ყოველგვარი

ქუჩას დაერქვა გერცენისა და მისი მეგობრების სახელი.

მოსკოვი, იან. 21. სამხედრო ცნობები. რეჟიცის რაიონში სასტიკი ომი გრძელდება. ზოზირის რაიონში ომი სწარმოებს, სადგ. ტიჩის აღმოსავლეთით. კამენეც პოდოლის მიმართულებით მხვერავთა მოქმედებაა. ელიზავეტგრადის აღმოსავლეთით 10 ვერსის მანძილზე სასტიკი ომი სწარმოებს. ხერსონის მიმართულებით ჩვენი ჯარი იბრძვის 30 ვერსზე კრივოი გორის სამხრეთით. ჩვენი ჯარი 25 ვერსსზე მიუახლოვდა ქალაქ პერეკოპს. ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. გენიჩესკი. როსტოვის რაიონში ჩვენი ჯარი დონის მარცხენა ნაპირზე ბატაისკსა და ოლგინსკაიასთან იბრძვის. ნოვოჩერკასის რაიონში ჩვენ ავიღეთ თეელი რიგი სოფლებისა ბოგაევსკაია ზოლოტოვსკაია ხაზზე და განვაგრძობთ წინსვლას. ველიკოკნიაჟესკაიას მიმართულებით სასტიკი და ცვალებადი ომი სწარმოებს სტანიცა კარგალსკაიას მიდამოებში. ტიხორეცკაიას მიმართულებით ჩვენი ჯარი სადგ. ზიმოვნიკას მიუახლოვდა. ყიზლიარის მიმართულებით ჩვენი ჯარი ამ ქალაქის მიდამოებში იბრძვის.

ნაუენი იან. 20. ლონდონის გაზეთი „დეილი ქრონიკლი“ სწერს: „ჩვენ გვსურს ბოლშევიკებთან ბრძოლა განაპირა ქვეყნებს დავაკისროთ. თუ ჩვენ ვერ შევსძელით ბოლშევიზმის დამხობა ფრანგი და ინგლისელი ჯარისკაცების საშუალებით, რა უფლება გვაქვს ეს მოვთხოვოთ განაპირა ქვეყნების ჯარებს. ისინი განსაკუთრებით მიესწრაფვიან ზავისაკენ და ჩვენი უპირველესი მოვალეობაა მივანიჭოთ მათ მშვიდობიანი ცხოვრება.

წერა-კითხვის საზოგადოებაში

ქართული შრიფტი.

19 იანვარს, სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში თ. კიკვაძის თავმჯდომარეობით შესდგა მრავალ რიცხოვანი კრება ქართულ შრიფტის შემუშავებელ მცირე კომისიისა. კრებამ მოისმინა მოხსენება კომისიისა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დღემდის ქართულ შრიფტს ცენტრი ანუ შუა ადგილი არ ჰქონია, ეხლა კი გადაწყვეტილია, რომ ექნეს ქართულ შრიფტს შუა დასაყრდნობი ადგილი. ქართული შრიფტის ნაკლი არა პროპორციული ზოლა და დაბლა აცილებულია. დაცული იქნება პროპორცია, ცენტრ ერთი ნახევარი, ცენტრ ქვევით მეორე, ხოლო მეორე ნიმუშით სამი მეოთხედი ცენტრ ზევით და სამი მეოთხედი ცენტრ ქვევით.

სიმეტრია, რომელიც დღემდე არ იყო დაცული, მაგ., „ინს“ ეპრა სამჯერ ნაკლები ადგილი რაც ასო „ლასს“—თანახმად მოხსენებისა შესწორებულია. ყველა ეს ასოები იქნებიან ერთი საგნისა და მოთავსებული ერთ კვადრატში, ამის თანახმათ იქნება ისეთი სიმეტრია, რაიც არც ევროპიულ შრიფტს ჯერ არა აქვს. ამ პროექტითვე გამარტივებულია ზოგიერთი რთული ასოები „რაე“, „ლასი“, „ტარი“ და სხვ. პროპორციისა და სიმეტრიის დაცვის შემდეგ ქართული შრიფტი გახდება ადვილი მოსახმარი და ექნება ეკონომიური მნიშვნელობაც.

პედაგოგიური შეხედულებით ახალი პროექტი შეადგენს დიდ წინსვლას ბეჭდვის საქმეში.

კრებამ ერთხმად მოიწონა მცირე კომისიის მოხსენება და შრიფტის ნიმუშები. დაევალა მხატვარ შევარდნაძეს საბოლოო რედაქცია გაუკეთოს და დახატოს ეს შრიფტები და გეგმა წარმოუდგინოს მომავალ კრებას, რომელიც დანიშნულია 27 იანვრისათვის.

ბათუმის ამგეგი

ახლვარ გარეთიდან ბათუმში მოვიდა რუს. საზ. გემი „ათონი“, რომელსაც ბათუმში მოიტანა შემდეგი საქონელი: მანუფაქტურა 8900 კ., პაპიროსის ქაღალდი 3800 კ., ცარიელი რკინის ბოჭკები 16000 კ., საფთიაქო საქონელი, 600 კ., კრუტაო 120 კ., ტყავი 29000 კ., ავტომობილის შინები 400 კ., შაქარი 5000 კ., ვაზეთის ქაღალდი 3000 კ., ჩაი 8500 კ., გლიცერინი 550 კ., წიგნი 300 კ., ცარიელი ტომრები 1050 კ., წამალი 760 ფუთი, პაპიროსის ქაღალდი 500 კ., შემოსახვევი ქაღალდი 6000 კ., კალა 500 კ., სხვა და სხვა ჭურჭეულობა 200 კ., რკინა 2300 კ., ყარდონის ქაღალდი და სხვა 18000 კ.

—

ქალაქის თვითმართველობამ მიიღო 500 ტონი პურის ფქვილი.

—

გემ. „ოლიმპიადით“ ბათუმში მოიტანეს შემდეგი საქონელი: ჩაი 1000 კ., ქაღალდი 39500 კ., კალოში 12000 კ., ფხვნილი შაქარი 5000 კ., საპონი 1750 კ., ცარიელი ტომრები 15500 კ., ციანკის ქვეტი და კალა 2700 კილო, ალკოგოლი 64200, კ. მანუფაქტურა, 19700 კ., კალამი, კალმისტარი და ფანქარი 44.0 კ., შეკერილი ტანისამოსები 2330 კილო, ასანთი 42000 კილო, პაპიროსის ქაღალდი 4800 კ., თეთრი ქესტი 68 ფუთი, რკინა 2500 კილო და კონიაკი 95000 კილო.

—

გემ. „ფოთი“-თ სუბუმიდან ბათუმში მოიტანეს დიდძალი თამბაქო.

სხვა და სხვა

21 იანვარს გზათა დეპარტამენტის დირექტორმა ფოთის ნავთსადგურის უფროსის ინჟანდრონიკაშვილისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო.

„გემი „ჰორობი“ ბარქით, 4 ცხენით, მთელი ინვენტარით და ზედ მყოფ 5 მოსამსახურით ბათუმში დაბრუნდა. გემის ჩასაბარებლად ბათუმში ვგზავნით „ჰოროხის“ კომანდირს ტკიციშვილს“.

✦ კვირას, 25 იანვარს 1920 წ., დღის 12 საათზე, ტფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკის ბინაზე (დამფუძებელი კრების ქუჩა № 5) დანიშნულია საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა.

✦ ტფილ. ქალაქ. საჭმის სასურსათო განყოფილება აძლევს ქ. ტფილისის მცხოვრებთ და აგრეთვე ყველა დაწესებულებათა მუშამოსამსახურეებს თითო ფუთ ნახშირს ოჯახზე 50 მან. ფუთს.

✦ სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ საქართველოში ერევნიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო 21 იანვრის თარიღით: „გუშინ კონცერტზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ პარლამენტის წევრის საკ ტოროსიანის სიტყვის შემდეგ იქ დამწყრე საქართველოს წარმომადგენელს გერასიმე მახარაძეს ხალხმა დიდი ოვაციები გაუმართა. მახარაძემ ხალხს მადლობა გადაუხადა და უსურვა ახლო მომავალში სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარება“.

✦ დავით კლდიაშვილის საიუბილეო კომისიის სხდომა დანიშნულია დღეს, პარასკევს 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე მწერალთა კლუბ „ქიმერიონში“. სხვა საკითხებთან ერთად ამ სხდომაზე განხილული იქნება დრო და წესი ტფილისის რაიონების თეატრსა და კლუბებში დავით კლდიაშვილის საპატივცემულო საღამოების გამართვისა.

✦ სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა 1920 წლ. მოახდინოს სრული ნაციონალიზაცია.

✦ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი აპირებს ბაბასუმანში მოაწყოს სანატორიუმი გვარდიელებისთვის 50 საწოლით.

✦ სამუსიკო საზოგადოების სკოლაში მოწაფეთა რიცხვმა საგრძნობლათ მოიმატა. მიწვეულია ახალი პროფესორ მასწავლებლები.

✦ ქართ. სამუსიკო საზ—ში მთავარ გამგეობამ თავის კრებაზედ მოისმინა თელავის ფილიალურ განყოფილების დირექტორის მოხსენება, დაადგინა, მიეცეს თელავის განყოფილებას 25,000 მან. ორი როიალი და საჭირო ნოტები.—ფული უკვე გადაეცა ბ. ზ. ხიკვაძეს.

მეცხვარეთა და მესაქონლეთა წარმომადგენლების ყრილობა

ოთხშაბათს, იანვრის 21-ს, შუადღის 12 საათზე ზუბალაშვილის სახალხო სახლში დიდის ზეიმით გაიხსნა სრულიად საქართველოს მეცხვარეთა და მესაქონლეთა წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ა. მაჩაბელმა, რომელმაც დამსწრეთ მიულოცა და დაახასიათა ყრილობის აზრი და მიზანი.

ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გ. დ. ჟურული, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამწყრეთ და მისალოც სიტყვაში, სხვათა შორის, სოქვა: უდიდესი აქტი იყო ჩვენი თავისუფლების მოპოვება, მაგრამ არა უფრო ნიშვნელოვანი საქმეა ამ თავისუფლების შენარჩუნება, რისთვისაც საჭიროა შრომის გაორკეცება და ჩვენის აუარებელ სიმდიდრის წესიერი მოვლა პატრონობა. ერთს ასეთ დიდს სიმდიდრეს ჩვენი მეცხვარეობა მესაქონლობა შეადგენს და ამიტომ უსურვებს ყრილობას ნაყოფიერს მუშაობას.

თავმჯდომარის ამხანაგებად არჩეულ იქნენ: შალვა ქარუმიძე, ა. მაჩაბლიშვილი და ივ. ციციშვილი; პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნენ დ. ქადაგიძე, შ. ბეგიაშვილი, ქერიმ ბეგ მუსტაკულოვი, ალ. კუჩენბახი, გ. ნადირაშვილი და დ. კარატიელი ქუმსიშვილი; მდივნებად არჩეულ იქნენ: ალ. ჯავახიშვილი და ვ. ათანელაშკილი.

მიწათ მოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა ყრილობას მიულოცა სამინისტროს და მთავრობის სახელით და სხვათა შორის სთქვა: აქამდე ჩვენ პოლიტიკურ ბრძოლაში ვიყავით ჩაბმული, რაიც დაგვრგვინდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებით. ეხლა საჭიროა აღშენებლობითი და შემოქმედებითი მუშაობა და ჩვენის სიმდიდრის დამუშავება. მართალია, ამ დარგში ჩვენ სუსტნი ვართ, მაგრამ იმედი გვაქვს, თქვენი ცოდნა და ხანგრძლივი გამოცდილება დიდად გამოგვადგება ამ ძვირფასი საქმის ასრულების დროს.

შემდეგ ყრილობას მიულოცეს: ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ამხანაგმა სვ. ავალიანმა, მომარაგების მინისტრის ამხანაგმა ი. პ ევ ნიძემ, მეაბრეშუმე-მეთამბაქოთა წარმომადგენელმა ტ მარგველაშვილმა, საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ მ. მაჩაბელმა, სააგრონომიო დახმარების მოლვაწეთა ყრილობის მომწვევ კომიტეტის წარმომადგენელმა გ. რცხილაძემ, მოსკოვის სახალხო ბანკის წარმომადგენელმა ა. გრიგოლიამ, დ. ჯავახიშვილმა, ტფ. მაზრის ერობის წარმომადგენელმა ბ ნმა ქურდიანმა, იყო აგრეთვე წერილობითი მოლოცვა მეევნახე მელვინეთა ყრილობათა საბჭოსაგან.

ყრილობამ აირჩია ყველა კუთხის წარმომადგენელთაგან ოთხი კომისია, რომელმაც მოხსენებანი წინასწარ უნდა განიხილოს და თავისი აზრი მოახსენოს ყრილობას.

პირველ კომისიას შეეხება ზამთარ-ზაფხულის საძოვრები, მეორეს—ბზები, მესამეს—მეცხვარეობა, საზღვრების დაცვა და იარაღის ნებართვის აღების წესი, ხოლო მეოთხეს—მონოპოლიის საკითხი.

ბავშვის სახლი

მოქალაქენო! თქვენ იცით, რომ ტფილისში დაარსდა „დედობისა და ბავშობის დაცვის საზოგადოება“. თქვენ იცით, რომ ამ საზოგადოებამ უკვე განახორციელა პრაქტიკულად ზოგი თავისი მიზანთაგანი საბავშვო თავშესაფრების და უფასო კონსულტაციების მოწყობით, ეს საზოგადოება იწყებს კიდევ ერთ დიდნიშვნელოვან საქმეს. იანვრის შუა რიცხვებში ხსნის „ბავშვის სახლს“, რომელიც შეიცავს საბავშვო ბაღს, საბავშო კლუბს და საბავშვო წიგნთსაცავ-სამკითხველოს. მოქალაქენო, კულტურული ევროპა მოფინილია ასეთი დაწესებულებებით, ხოლო ჩვენში ეს პირველი ცდაა და ჩვენი საზოგადოების შეგნება განვითარებაზედ იქნება დამოკიდებული მისი ზრდა-წარმატება. „საბავშვო სახლთან“ განზრახული ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის საჭირო საყმაწვილო წიგნები, სურათები, სახელმძღვანელოები. მოქალაქენო, ვისაც საჭიროთ მიაჩნია, რომ ჩვენს შვილებს მიეცეს გონებრივი და ზნეობრივი საზრდო, ვისაც საჭიროთ მიაჩნია, რომ ჩვენი შვილები ქუჩას ცუდ გავლენას ააშოროს და მისცეს ბავშვს სალი გონებრივი საზრდო, შემოიტანეთ თქვენი წვლილი, გახდით მონაწილე ამ დიდ საქმისა. ყოველი შემოწირულება წიგნებით, სურათებით თუ სახელმძღვანელოებით მიიღება დიდის მადლობით საზოგადოების კანცელარიაში პეტრე დიდის ქუჩაზედ № 8.

პედაგოგიური სექციის წევრები: **ნ. ნაგაშიძე, ელ. ელიავა, ან. ქიქოძე, ხ. დ. არღუთინსკაია დიდგორუკა, ე. გორინა, მელ. ვველეხიანისა.**

საავადმყოფო პასუხ.

საავადმყოფო კასის ახალმა გამგეობამ განიხილა საკითხი და წევრთა ოჯახების დახმარების შესახებ. ეს იმან გამოიწვია, რომ კასის ერთ წევრთაგანი მოითხოვდა თავის შვილის დასამარხავად დახმარებს. გამგეობამ დაადგინა დახმარება მიეცეთ ხხოლოდ წევრების მცირე წლოვან შვილებს 14 წლამდე და წევრების ისეთ მშობლებს, რომლებსაც დაკარგული აქვთ შრომის უნარი.

—

საავადმყოფო კასის გამგეობაში შემოვიდა საჩივარი სავაჭრო სახლის „სტუკენის“ ერთი მუშა ქალისა, რომელიც ამ დაწესებულებაში მომუშავეთა საერთო კრებაზე დათხოვნილ იქნა, თითქოს ქურდობაში შენიშნული სალიკვიდაციოს მიუცემლად. საავადმყოფო კასის გამგეობამ დაადგინა ჩასთვალოს ხსენებულ მუშების კრების დადგენილებას მათთვის არა სავალდებულოდ და დათხოვნილ მუშა ქალს მისცეს კასის სალაროდან ერთი თვის გასამრჯელო.

საჭირო წიგნი.

1878 წ. რაც აჭარა და ამის მიდამოები საქართველოს შემოუერთდა, მას შემდეგ ამ ახლად შემოერთებულის კუთხეებში ფოსტის ნაწილში მოახურებდა ბატ. სოლომონ ასლანიშვილი. ეს კაცი იქ დარჩა მოახურათ ბარე 30 წელიწადი, ამ ხნის განმავლობაში მან კარგათ შეისწავლა ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება.

სოლომონ ასლანოვი ქართველ მაჰმადიანთ შესახებ ქართულ გაზეთებში წერილებსაც ათავსებდა, იგი ქართულ გაზეთებში თანაშრომლობდა „ბავრელის“ ფსევდონიმით; მისი წერილები განუწყვეტლივ იბეჭდებოდა „დროება“, „ივერიაში“ და სხვა გაზეთებშიაც, რაც დიდის ინტერესით იკითხებოდა ქართველ საზოგადოებაში.

ჩვენ შევიტყეთ ეხლა, რომ ამ გამოცდილს და ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრების კარგათ მცნობს და მასთანვე ოსმალური ენის კარგათ მცოდნეს, შეუდგენია ქართულ-ოსმალური ენის სახელმძღვანელო წიგნი—ქართულის „დედა ენის“ მსგავსათ, სურათებით.

ეს წიგნი იქნება გასაღები და კარი ქართულის ენის შესწავლის იმ ქართველ მაჰმადიანებში, სადაც ეამთა ვითარების წყალობით ქართველებმა ქართული ენა დაკარგეს და დღეს ოსმალურათ ლაპარაკობენ; ასეთ ქართველ მაჰმადიანების რიცხვი ერთობ დიდია და მათ ეს წიგნი ძლიერ გაუადვილებს ქართული ენის შესწავლის საქმეს.

დამწერს ეს წიგნი წარუდგენია ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის და უთხოვნია მისი გამოცემა.

ზ. ჭ.

რკინის გზაზე

სომხეთის რესპუბლიკის თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი 22 იანვარს ერევანში გაემგზავრა.

—

22 იანვარს ტფილისიდან გაემგზავრენ გუმბრში სომხეთის უნივერსიტეტის გახსნაზე მიწვეული პირნი.

—

22 იანვარს ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა ადერბეიჯანის გზათა უფროსი ინჟ. თეიმურბეკ მელიკ ასლანოვი.

—

ექსპლოატაციის უფროსის განკარგულებით 22 იანვრიდან მოიხსნა დამატებითი მატარებლები ტფილისსა და ხაშურის შუა მგზავრთა სიმცირის გამო 24 იანვრიდან კი დაინიშნება შაბათობით და უქმეების წინა დღით მატარებელი № 17, რომელიც ტფილისიდან გავადღის 12 ს. 20 წ. გორიდან 3 საათზე და ხაშურში მივა 4 ს. 35 წ. ხაშურიდან დაბრუნდება კვირა უქმე დღეებში სადამოს 8 საათზე.

„ჯურუბის“ ტყვეობის ისტორიიდან

სოხუმის „ნაშე სლოვო“ ში მოთავსებულია საუბარი იმ ხეედართან, რომელიც „ჰოროხთან“ ერთად ტყვედ ჩაუვარდა მოხალისეთა სამხედრო გემს.

2 დეკემბერს, დღის 12 ს. „ჰოროხი“ სოხუმიდან გაგრისაკენ ბარქით გავიდა. ფიწუნდის „კანდელთან“ მატროსებმა და ჯარისკაცებმა შენიშნეს ჰორიზონტზე ერთი გემი. მატროსებმა იფიქრეს, ეს ინგლისის გემია. ჯარისკაცების ნაწილი კი ამბობდა, რომ ეს მოხალისეთა გემია და ის იყო მოიმარჯვეს თოფები და მოემზადნენ წინააღმდეგობის გასაწევათ იმ რწმენით რომ არამც და არამც არ დანებებულიყვნენ.

როცა გემი მოახლოვდა, მასზე დავინახეთ ინგლისის დროშა, ხოლო „კომანდა“ ინგლისურ ტანისამოსში. ჩვენ მაშინ დავწყნარდით და იარაღიც დავაწყეთ. როდესაც 200 ნაბიჯზე მოახლოვებულმა გემმა შეამჩნია, რომ ჩვენს გემზე ზარბაზნები არ იყო, ინგლისური დროშა დაუშვა და აღმართა ბრძოლის ნიშანი. დაუმიზნა ჩვენს გემს ოთხ დიუმიანი ზარბაზანი და მოითხოვა დანებება. როცა ეს დაინახეს ჯარისკაცებმა, მაშინვე სტაცეს თოფებს ხელი და მოინდომეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ უფროსებმა შეაჩერეს, ვინაიდან თოფებით არ შეიძლებოდა მტრის შეიარაღებული გემისთვის გამკვლავება და უაზრო მსხვერპლის გაღება მოხდებოდა. ჯარისკაცებმა დაუჯერეს უფროსებს. „ჰოროხიც“ დანებდა მტერს. მოხალისეებმა გაგვიხრიკეს, წაიღეს თოფები, ზოგიერთებს წაართვეს ფული და ტანისამოსიც, მაგრამ ჩვენი ოფიცრების პროტესტის შემდეგ ისევ დააბრუნეს ფულები და ტანისამოსი.

დალამებ მდე გემი ადგილადან არ დაძრულა. შუალამებისას „ჭოროხზე“ ჩააქრეს სინათლე და ასე გავიარეთ გაგრა და გავსწიეთ ადლერისაკენ. როცა გავიარეთ გაგრა, „ჭოროხზე“ სინათლე კვლავ გაჩაღეს, მაგრამ ადლერის ახლო გამოჩნდა ფრანგების თუ იტალიელების კრეისერი, კვლავ უბძანეს „ჭოროხზე“ სინათლის ჩაქრობა. ამ დროს მოხალისეთა ტრალერი ამოუდგა „ჭოროხს“ მარჯვნივ, რათა კრეისერს არ დაენახა ის. როცა კრეისერმა ჩაიარა, სინათლე კვლავ აანთეს, მოხალისეთა ოფიცერმა განაცხადა: კრეისერს რომ შეეჩნია „ჭოროხი“, ჩვენ ის უნდა ჩაგვეძირა, რადგანაც შესაძლებელი იყო, რომ კრეისერს „ჭოროხი“ გაეთავისუფლებიაო.

დეკემბრის 3 დილით „ჭოროხი“ ტუაპსეს ნაპირებს მიადგა. მოვიდა კომენდანტი. ჯარის კაცები ნპირად გადასხეს. თოფიარაღი და სხვა ქონება ა წერეს და „ბარჟაში“ შეინახეს. ოფიცრები, კაპიტნი და ფოლტის მოხელე გადაყვანეს მოხალისეთა გემზე. „ჭოროხი“ კი თავის „კომანდით“ გადაიყვანეს ძველ პორტში, ბარჟა დასტოვეს ისევ ზღვაში. სამი დღე გაატარეს მათ გემზე. მეოთხე დღეს გაგზავნეს კომენდანტთან, სადაც მოეყვანათ „ჭოროხის“ მთელი კომანდა. კომენდანტს სურდა ოფიცრების და სხვა მოხელეების ოფიცერთა საკრებულოში გაგზავნა, მაგრამ მათი თხოვნით დატოვეს ჯარისკაცებთან.

პირველ დღეებში ტყვეებს არავითარი სასმელ საჭელი არ გეეძლეოდა. შემდეგ დაიწყეს სამი-მეოთხედი გირ. პურის და ცოტაოდენი ლუპის დარიგება. ჩვენი ოფიცერებისკენ, ტყვეებს სარდლობის ბრძანების თანახმად ნახევარ ულუფას ვაძლევთო. დიდი დახმარება გაუწიეს ტყვეებს ადგილობრივმა ქართველებმა. მათ საკმაოდ მოჰქონდათ ჩაი, შაქარი, ხორცი, თუთუნი და სხ.

ჩვენი ჯარისკაცები აიძულეს ეკუშავნათ პორტში დატვირთვა-გადატვირთვის საქმეზე დღიურათ 5 მ., რაიც არ მიუციათ.

რამდენიმე დღის შემდეგ დენიკინის ბრძანება მოვიდა, რომ ქართველი ტყვეები საქართველოში დაებრუნებიათ, მაგრამ ამ დროს მოხალისეთა ტრალერი მოვიდა ტუაპსეში, რომელიც გამანადგურებელ „ტარიელ“ ს დაეზიანებია ფოთში. ამ ტრალერმა თან მრიტანა ორი მოკლული მეზღვაური. ამის გამო არ გამოგვიშვეს, მაგრამ 20 დღის შემდეგ ბრძანება დადასტურებული იქნა და ჩვენც გამოგვიშვეს. დაკავება იმით დაასაბუთეს, რომ ნახშირი არ გვქონდაო.

23 დეკემბეს ტყვეები გაგზავნეს ბათუმში, სადაც 25 დეკემბერს ბიგვლო ჩვენმა კონსულმა და ფოთით გამოგვიტუნა სოხუმი საკენ. ტყვეობაში მოკვდა პარტახტიანი სახადით ჯარისკაცი ბასილაია (ზუგდიდის მაზრიდან), რომლის სურათი გადავიღეთ და იქვე დავასაფლავეთ.

როგორც კი გაიგეს მცხოვრებლებმა „ჭოროხის“ დაკავება, გაეხარდათ—ეგონათ: საქართველომ ზეტევა დაიწყო მოხალისეების წინააღმდეგო. ხალხი უკმაყოფილოა დენიკინის ბოქმედებით. ახლა ბევრი რუსი ნანობს, რომ შეცდნენ, როცა საქართველოში ყოფნის დროს საქართველოს წინააღმდეგ გაიაზრეს. ახლა ისინი დიდის სიამოვნებით დაბრუნდებოდენ საქართველოში, რომ ამის ნებას დართავდეს საქართველოს მთავრობა.

ქართული და ამიერკავკასიური ფული ტუაპსეში 50—60 პროცენტით მეტათ ფასობს დონის ფულზე.

გაგრის ფრონტზე დგას ნახოლოდ სომხური ნაწილი (1500 კაცამდე) და 1000 მდე რეგულიარული ჯარი. აბაზთა ნაწილები გადაიყვანეს ცარიცინის ფრონტზე.

მიჰყავთ მოხალისეებს ჯარში მასწავლებლებიც 37 წლამდე, ამიტომ სკოლები იხურება.

ბანცხადებანი

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალური არქივის საქმეთა სიმტკიცის ნუსხაში ჩაინიშნა სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ფოთის ნოტ. ვესტფალის მიერ 15 ენკენისთვეს 1919 წელსა საჯარო ვაჭრობიდან უძრავ მამულის შეძენის თაობაზე ირაკლი ივანეს ძე გუჯაბიძის მიერ, რომელიც ეკუთვნოდა გერასიმე სიმონის ძე გეგეშიძეს, მდებარე ქ. ფოთში 1053 № ქვეშე და შედგება ნაკვეთი მიწისაგან შენობებით ზომით 240 ოთხ-კუთხი საჟენი. ფასი 10.637 მ. 46 კ. სიმტკიცის ბაჟი 288 მ., ამონაწერი 72 მ. ღერბის ქაღალდზე. მიცემულია. 0180 1 1

გორის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სოფ. ტინიხიდში 1919 წ. მარია ზურაბის ასული ხიზანაშვილის ნემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მარია ხიზანაშვილის ქონებაზე. სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 0477 1—1

სიხლ. სამ. სასამ. წარმ, წესდ. 846, 847, 848 და 852 თანახმად, ტფილისის 4 უბნის მოშრიგებელ მოსამართლის დადგენილებით ეძებენ მარიამ—ბარისაშვილს.

ყველა, ვინც-კი იცის სად სცხოვრობს ეს, ვალდებულია გამოუცხადოს სასამართლოს.

დ წესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება ვალდებულნი არიან გადასცენ იგი საოპეკუნო სასაზართლოში. 0537 1—1

ალექსანდრე ნესტორის ძე გოგუა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამტრედიის რკინის გზის ორკლასიანი სწავლებლის მიერ მიცემული ატესტატი № 555, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 83 2—3

ვასილი ბაბას ძე ლაბარტყვა აცხადებს, რომ მან ნატახტე და ხიგოითის შუა დაჰკარგა სამგზავრო მოწმობა, № 2203 აღებული ნაციკოვის სათემო ერობის გამგეობიდან (ენაკის მაზრა) 1919 წ. 15 დეკემბერს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 68 3—3

მარიამ ნიკოლოზის ასული ცაციშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლის კანცელარიიდან აღებული ატესტატი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 75 3—1

სიხლის სამართლის სასამართლ. წარმ. წესდების 846, 847, 848 და 851 მუხლით ტფილისის მე 4 უბნის მომრიგებელი მოსამართლის დადგენილებით ეძებენ ალექსანდრე ივანეს ძე კურკლეტას. ყველა, ვინც იცის სად სცხოვრობს ის ვალდებულია გამოუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთ განკარგულებაშიაც აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულნი არიან გადასცეს იგი საპეკუნო სასამართლოს. 0515 1 1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 25 ოქტომბერს 1919 წ. დამტკიცდა 12 ივნისის 1919 წ. შესრულებული ნასყიდობა. მიცემული ვასილ სოგრატის ძე მარგველაშვილის მიერ—სევერიან მელიტონის ძე სვანიძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, მიხეილის ქუჩაზე შენობით ზომითა. აღმ. და ჭდ. 14—14ალაბ ნახევარი, ჩ. და ს. ნხრით 6—6 ალაბ ნახევარი—25000 მან. სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 1000 მან. მთავარი ამონაწერი 250 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 25 ოქტომბერს 1919 წ. 0193 1—1

ხრესილის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად თავის დადენილებისა 1919 წ. 22 დეკემბრიდან, იწვევს გარდაცვალებულ მღვდლის ნესტორ ალექსის ძე ლომთაძის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ უფლება, 1241 მუხ. სამოქ. კან. X ტ. ნაწ. I აღნიშნულ ვადაში, ხსენებულ ლომთაძის ქონებაზე. 0517 1—1

თიანეთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად 1401 მუხ. სამოქ. სამ. წარმ. იწვევს გარდაცვალებულ სოფელ სვიმონიათ ხევში (თიანეთის მაზ.) მცხოვრებელს ივანე ზაქარიას ძე ბიჩინაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ უფლება ბიჩინაშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზედ 1241 მუხ. სამ. კან. კრებ. მეათე ტომისა პირველ ნაწილში აღნიშნულ ვადაზე. 0476 1 1

ლაჩხუთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს დღიდგან ამა განცხადების დებეჭდვისა ექვსი თვის ვადაში გარდაცვალებულ სოფელ ზუხუთში მცხ. ევგენი და ალექსანდრე ადონიკას ძე იმნაიშვილების მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ხსენებულ იმნაიშვილების ქონებაზე. 0518 1—1

სამტრედიის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმად 846, 847, 848 და 851 მუხ. სიხლ. სამ. წარმ. წესდ., იწვევს თავის კამერაში მცხოვრებს ოზურგეთის მაზრისა ს. ჯუჯუყვეთისა მიხაკო ივანეს ძე სალუქვაძეს, რომელსაც ბრალი ედება ქურდობაში. 0424 1—1

სიხლ. სამ. წარმ. წესდ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ სერგო ბიჭიას ძე დოლიძეს. დამნ. 417 მუხ. ს. ს. დ. დაკარგულის ნიშნები გამოურკვეველია. ყველა, ვინც იცის დოლიძის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საოპეკუნო გამგეობას. 10 1—1

სიხლ. სამ. წარმ. წესდ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ ქალ. ნოვოე მესტოს ქალ. ჩერნიგოვის გუბერნიის მცხოვრებს, აკაპრიოხორის ძე გოლჩევს, რომელსაც ბრალდება სასჯელი, გათვალისწინებული მეორე ნაწილ. 1655 მუხ. სასჯ. დებ. დამალულის ნიშნებია: 30—32 წლისა, დაბალი ტანისა, ღია ფერის თმა, განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს ყველა, ვინც იცის გოლჩევის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სადარის ყველა ის დ წესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საოპეკუნო გამგეობას. 18 1—1

დავარგე 3 იანვარს, საღამოს, ტფილისის სადგურზე, მწვანე ქაღალდში შეხვეული ვექსილები, პირობები და რკინის გზის კვიტანციები. ვექსილები იყო მოცემული 1. ვლადიმერ ივანეს ძე თავართქილაძ საგან, 2. ა. ნაცვალაძისაგან და 3. ფარულავა და ამხანაგებიდან და პირობა კი ვ. პაპაიანციდან. ყველა ესენი სხვისთვის უსარგებლონი არიან და მპოვნელს ვსთხოვ უმორჩილესად, რომ მომიტანოს და მიიღოს ღირსეული საჩუქარი. ჩემი მისამართი: ვერის დალმართი № 16, შეშის საწყობი ა. ნაცვალაძისა, თუ მე იქ არ ვიყო, იკითხოს ალექსი ნაცვალაძე. 93 3—2

ვიქტორ დავითის ძე ვაჩნაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პორტფელი საჭირო დოკუმენტებით. მპოვნელს სთხოვს მიუტანოს რტიშჩევის ქ. № 19 ვაჩნაძეს ან სად. გურჯაანი ბაკურციხის თემის თავმჯდომარეს ვ. ვაჩნაძეს, რისთვისაც 1000 მან. მიიღებს ჯილდოთ. 92 3—2

ნინა ბოკერია და ლიზა სარდეველაძე აცხადებენ, რომ მათ დაჰკარგეს სალექციო წიგნაკები ტფილისის სახელმწ. უნივერსიტეტიდან მიღებული № 1446 და 1468, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 69 3—2

მარია ნიკოლოზის ასული ცაციშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლის კანცელარიიდან აღებული ატესტატი 1895 წ. ატესტატი გაუქმებულად ჩაითვალოს 3—2 75

ივანე ერმოლოზის ძე მაჭავარიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახიდრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა №195, მიღებული ქუთაისის სამხედრო საკრებულოდან. მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 88 3—2

სიმონ ასლანის ძე გოდაბრელიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა ქუთაისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1918 წ. მიცემული სათადარიგო მოწმობა (ბილეთი) № 10336, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 67 3—3

სოლომონ თეოდორეს ძე ლლონტი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ს. ნუნისში (შორაპნის მაზრა) ბეუთ უბნის კომისარიატიდან აღებული პასპორტი № 669, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 66 3—3

ჩხარის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის მცხ. სოფ. საზანოში, შორაპნის მაზრისა ტარასი გოგიას ძე არაბიძის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება არაბიძის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1231 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 0423 1—1

დიმიტრი ნიკოლოზის ძე რუხვაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული მოსკოვში, მეორე უბნის კომისარიატიდან 1917 წ. № 3750. ნებართვა რევოლვერის ტარების მიღებული ტფილისის საგუბერნიო სამართველოდან. საბუთები გაუქმებულად ჩათვლება. 100 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ხინო ანდრიას ასულმა ქაზაშვილისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი იასონ იოსების ძე ქაზაშვილი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1913 წ. უკვალოდ დაიკარგა 1915 წ. რის გამო აღნიშნული ნინო ანდრიას ასული ქაზაშვილისა თხოთლობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ იასონ იოსების ძის ქაზაშვილის მისამართი, ვალდებულია, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დებეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 78 1—1

ალფესი ბუჭუას ძე თავაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, საბუდრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, პირადობის მარათი მიღებული რკინის გზის სამმართვ. და სოციალ. დემოკრატიულ პარტიის მანდატი. მპოვნელს სთხოვს გაუგზავნოს სამტრედიის მილიციას უფროს, წინააღმდეგ შემთხვევაში საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 97 3—1

მომრიგებელი მოსამართლე ქ. ფოთისა იწვევს გარდაცვალებულის მარკოზ გიორგის ძე ჯალაღანიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ხსენებულ ჯალაღანიას ქონებაზე კანონთა კრებულის ძე-10 ტომის 1 ნაწილის 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 49

ქალაქ ქუთაისის 1 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნიკოგიორგის ძის ჭელიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ნიკო ჭელიძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხლ. აღნ. ვადაში. 0507

გრიგოლ თომას ძე გოგილაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიციმეისტერის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 99 3—1

ამბროლაურის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ქუთაისის გუბერნიისა თანახმათ 1041 მუხლი სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესდებისა იბარებს მემკვიდრეებს მცხოვრების სოფ. ჩორჯოში, რაჭის მაზრისა გარდაცვალებულის ალექსანდრე თადეოზის ძე გურგენიძისა, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის უძრავ მოძრავ ქონებაზე იმ ვადაში, რომელიც აღნიშნულია 1241 მუხლის მეათე ტომისა ნაწ. 1. სამოქალაქო კანონებისა. 0532 1—1

სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის, აბაშის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 11 ოქტომბერს 1916 წ. გარდაცვალებულის მცხოვრების სოფ. კაპანის, სენაკის მაზრის, ვახტანგი ივანეს-ძე თოფურიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება თოფურიას ქონებაზე მე 1241 მუხლ. აღნიშნულ ვადაში. 51 1—1

ერთობათა კავშირის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე, რუსთაველის პროსპექტი № 24 ტელეფ. 16—62 და 3—67. (ყოფილი „ერთობის“ რედაქციის ბინა).

94 1—1

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი

ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რკინის გზის სატვირთო ბარათი (ნაკლადნოია) ბაქოტფილისი № 106302, რაიც ამის გამო გამათილებულათ უნდა ჩაითვალოს.

96 3—1

ტფ. სამხედრო გინათა დისტანცია

აცხადებს, რომ თებერვლის 7-ს ამა 1920 წ. დანიშნულია პიროვნული შეჯიბრება იჯარის მისაცემად ტფ. გარნიზონის ბინებიდან ულუფთაოების და ნაგვის გაზიდვის შესახებ. მსურველს შეუძლია შემოიტანოს თხოვნა პირობების აღნიშვნით არა უგვიანეს 1 თებერვლისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კანცელარიაში (ინჟინერის ქუჩა № 2) დილის 10—3 საათამდე. 5—5 63

სტამბა საქართველოს რესპუბლიკისა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი